დანართი 1

ფორმალური მოთხოვნები რეფერატის მიმართ

ნაშრომი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ ფორმალურ მოთხოვნებს:

ა) ნაშრომის მოცულობა არ უნდა იყოს A4 ზომის 25 გვერდზე ნაკლები, შრიფტი – Sylfaen, ტექსტის შრიფტის ზომა - 11, სათაურებისა და ქვესათაურების ზომა - 14-12, სტრიქონებს შორის მანძილი – 1.5, გვერდის ველები ზედა და ქვედა კიდიდან - 2სმ, მარცხენა კიდიდან - 3სმ, მარჯვენა კიდიდან - 1,5სმ.

ბ) ნაშრომის თავფურცელის (იხილეთ ნიმუში - დანართი 1.1) შრიფტი - Sylfaen; ნაშრომის დასახელების შრიფტის ზომა - 14, გასწორება ცენტრში (Center), ზედა კიდიდან 2 ინტერვალის დაშორებით; აპლიკანტის სახელი-გვარის შრიფტის ზომა - 11 Bold, გასწორება მარჯვენა კიდესთან (Align Right), სათაურიდან - 5 ინტერვალის დაშორებით; სახელი-გვარიდან ტექსტამდე - 5 ინტერვალი, ტექსტის ზომა - 11, ორმხრივი გასწორებით (Justify); ტექსტიდან თარიღამდე - 4 ინტერვალი, თარიღის ზომა - 11, გასწორება მარჯვენა კიდესთან (Align Right); უნივერსიტეტის დასახელება ქვედა კიდიდან - 4 ინტერვალი, გასწორება ცენტრში (Center). გვერდის ველები ზედა და ქვედა კიდიდან - 2სმ, მარცხენა კიდიდან - 3სმ, მარჯვენა კიდიდან - 1,5სმ.

გ) აბზაცები ერთმანეთისგან გამოიყოფა თითო ინტერვალის გამოტოვებით.

დ) წყაროების მითითების წესი:

1. უნივერსიტეტში გამოიყენება ციტირების სტილი - APA STYLE 7.
2. ნებისმიერი ნაშრომის ბოლოს დგება ბიბლიოგრაფია, რომელიც მოიცავს არა მარტო იმ წყაროებს, რომლებიც მითითებულია ნაშრომში, არამედ იმ ავტორთა შრომებს, რომლებიც არ არის ციტირებული/პერიფრაზირებული ან რეზიუმირებული, მაგრამ გამოყენებულია, როგორც მასალა მსჯელობის გასავითარებლად.
3. ბიბლიოგრაფია განლაგდება ანბანური თანმიმდევრობით. ჯერ გამოცემები ქართულ ენაზე, ხოლო შემდეგ – უცხოურ ენებზე.
4. წყაროები აღიწერება შემდეგი სახით:

წიგნის ან მონოგრაფიის გამოყენების შემთხვევაში:

- ავტორის (ავტორების) გვარი და ინიციალები,
- გამოცემის წელი ფრჩხილებში. მაგ.: (2024)
- სახელწოდება (დახრილიშრიფტი)
- გამომცემლობა
- URL (ვებ გვერდის მისამართი) ან DOI (Digital Object Identifier)

მაგ.: ჭარაია ვ. (2024). *კაპიტალის ბაზრის განვითარება ფინტეკ რესურსების გამოყენებით.* უნივერსალი. https://doi.org/xxxx

პერიოდული გამოცემის გამოყენების შემთხვევაში

- ავტორის (ავტორების) გვარი და ინიციალები
- წელი (ფრჩხილებში)
- ნაშრომის სახელწოდება
- სამეცნიერო ჟურნალის სახელწოდება (დახრილიშრიფტი)

© Grigol Robakidze University

- ტომის ნომერი
- გამოცემის ნომერი
- გვერდები, რომელზეც განთავსებულია ნაშრომი
- URL (ვებ გვერდის მისამართი) ან DOI (Digital Object Identifier)

მაგ.: თაქთაქიშვილი თ. (2024). ციფრული მარკეტინგის გავლენა კომპანიის შემოსავლებზე, კოვიდ პანდემიის ფონზე. *კავკასია,* 15 (21), 12-15. https://doi.org/xxxx

ინტერნეტის გამოყენების შემთხვევაში:

- მასალის ავტორი
- ვებ-გვერდის ავტორი
- წელი (ფრჩხილებში), ასეთის არსებობის შემთხვევაში
- მასალის დასახელება ლინკის მინიშნებით
- URL (ვებ გვერდის მისამართი) ან DOI (Digital Object Identifier)
- მასალის მოძიების თარიღი

მაგ.: ბრაუნი, ტ. ბრიტანეთის სამართლის საფუძვლები. ზოგადი განათლება. https://doi.org/xxxx (15.02.2024).

ელექტრონული გამოცემის გამოყენების შემთხვევაში:

- სტატიის ავტორი (გვარი, ინიციალები)
- წელი (ფრჩხილებში)
- სტატიის დასახელება
- ელექტრონული გამოცემის დასახელება (დახრილიშრიფტი)
- გამოცემის ნომერი
- თავი, პარაგრაფი (იწერებაფრჩხილებში)
- URL (ვებ გვერდის მისამართი) ან DOI (Digital Object Identifier)
- მასალის მოძიების თარიღი

მაგ.: სმიტი, რ. (2023). თავისუფლების აქტის . . . . *ევროპის ფორუმი.* 3 (5). https://doi.org/xxxx (15.02.2024).

სახელისუფლებო დოკუმენტების გამოყენების შემთხვევაში:

- ქვეყნის დასახელება
- უწყების დასახელება, რომელსაც ეკუთვნის დოკუმენტი
- წელი იმ გამოცემისა, სადაც მოძიებულ იქნა მითითებული დოკუმენტი (ფრჩხილებში)
- დოკუმენტის სახე (ბრძანება, კანონი...)
- დოკუმენტის დასახელება შესაბამისი საიდენტიფიკაციო ნომრისა და წლის მინიშნებით
- ადგილი იმ გამოცემისა, რომელშიც მოძიებულია მითითებული დოკუმენტი
- გამოცემის დასახელება, რომელშიც მოძიებული იქნა მითითებული დოკუმენტი
- URL (ვებ გვერდის მისამართი)

მაგ.: საქართველო. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. (2020). მინისტრის ბრძანება: ... ცვლილებების შესახებ ... (639, 5.09.2020). თბილისი: საკანონმდებლო მაცნე #115. https://www.matsne.gov.ge/xxx

5. ტექსტში მითითება

ძირითად ტექსტში გამოყენებული წყაროს მითითება ხდება შემდეგი ფორმით:

© Guigel Robakidze University

ავტორთა რაოდენობა	ციტირება ძირითად ტექსტში ავტორის მითითების გარეშე	ციტირება ტექსტში ავტორის მითითების შემთხვევაში
ერთი ავტორი	„……“ (ჭარაია, 2024) (Charaia, 2024)	როგორც პროფესორი ჭარაია აღნიშნავს…….. ჭარაია (2024) Charaia (2024)
ორი ავტორი	(თაქთაქიშვილი, ჭარაია, 2024) (Taktakishvili, Charaia, 2024)	თაქთაქიშვილი და ჭარაია (2024) Taktakishvili and Charaia (2024)
სამი ავტორი	(შენგელია და სხვები, 2024) (Shengelia et al., 2024)	შენგელია და სხვები (2024) Shengelia et al. (2024)
ჯგუფური ავტორები აბრევიატურით პირველი ციტირების შემთხვევაში შემდგომი ციტირება	(საქართველოს ეროვნული ბანკი [სებ], 2024) / (National Bank of Georgia {NBG}, 2024) (სებ, 2024) / (NBG, 2024)	საქართველოს ეროვნული ბანკი (სებ, 2024) / National Bank of Georgia (2024) სებ (2024) / NBG (2024)
ავტორთა ჯგუფი აბრევიატურის გარეშე	(გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი, 2024) (Grigol Robakidze University, 2024)	გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი (2024) Grigol Robakidze University (2024)

6. თარიღის მითითება
   - ძირითად ტექსტში და ლიტერატურის ჩამონათვალში მითითებული პუბლიკაციის წლები უნდა ემთხვეოდეს ერთმანეთს;
   - გამოიყენება მხოლოდ წლის მითითება, მიუხადავად იმისა რომ შეიძლება ნაშრომი მოცემული იყოს დამატებითი ინფორმაციაც, მაგალითად თვე და რიცხვი;
   - თუ წელი არ არის მითითებული გამოიყენება “წ.უ.” (წელი უცნობია), ინგლისურად “n.d.”;
   - თუ ნაშრომი მიღებულია გამოსაქვეყნებლად, მაგრამ გამოცემის თარიღი ჯერ უცნობია, გამოიყენება „ბეჭდვაშია“ / „in press”.

© Grigol Robakidze University

რეფერატის სათაური

აპლიკანტის სახელი გვარი

© Grigol Robakidze University

რეფერატი წარდგენილია _____ სადოქტორო პროგრამაზე დაშვებისათვის

20-- წლის რიცხვი თვე

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

თბილისი, 20--